

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2014 წლის 13 მაისის

დადგენილება №1149

ა(ა)იპ მევენახეობისა და მეღვინეობის
ეროვნული ცენტრის დაფუძნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-8 პუნქტის,
„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ- საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საქართველოს
საპატრიარქოსთან, (ა(ა)იპ) -საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან, სსიპ -აკაკი
წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სსიპ- თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტთან და შპს კავკასიის უნივერსიტეტთან ერთად დააფუძნოს კერძო
სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - მევენახეობისა
და მეღვინეობის ეროვნული ცენტრი;
2. წინამდებარე დადგენილება დასამტკიცებლად გადაეზავნოს უნივერსიტეტის სენატს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე